შეფასებისა და გამოცდების
ეროვნული ცენტრი

წაკითხულის გააზრება და ანალიტიკური წერა

დღეს გამოცდა ჩატარდება წაკითხულის გააზრებასა და ანალიტიკურ წერაში.

1. **წაკითხულის გააზრების** ნაწილი შედგება სამი ტექსტისა და 21 ტესტური დავალებისაგან.
   ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულაა 21.

სწორი პასუხის გაცემისათვის იწერება 1 ქულა.
თუ არცერთი პასუხი არ არის მონიშნული, იწერება 0 ქულა.
არასწორი პასუხისათვის აკლდება 0,2 ქულა (ანუ იწერება -0,2 ქულა).
ტესტის ამ ნაწილის შესასრულებლად გეძლევათ 1 საათი და 15 წუთი.

2. **ანალიტიკური წერის** ნაწილი შედგება ორი დავალებისაგან:
   ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულაა 20.
   თითოეული დავალების მაქსიმალური ქულაა 10.
   ტესტის ამ ნაწილის შესასრულებლად გეძლევათ 1 საათი და 10 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!

წაკითხულის გააზრება

A ტიპის ტესტი

21 შეკითხვა

დრო – 1 სთ 15 წთ

ტექსტი A

I ქართული მწიგნობრული ტრადიცია უძველესი დროიდან იყო დაკავშირებული ქრისტიანული აღმოსავლეთისა და ბიზანტიის სამონასტრო-სამწიგნობრო ცენტრებთან. ქართველი ბერ-მონაზვნები ადრეული პერიოდიდან მკვიდრდებოდნენ სირია-პალესტინისა თუ ბიზანტიის მნიშვნელოვან სამონასტრო ცენტრებში, დაარსებული ჰქონდათ ასევე საკუთარი მონასტრები. უცხოეთის სამონასტრო ცენტრებში მიმდინარეობდა კულტურულ-საგანმანათლებლო სამუშაოები – ითარგმნებოდა ქრისტიანული ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი ძეგლები, იწერებოდა ორიგინალური ტექსტები, იქმნებოდა უძვირფასესი ხელნაწერები. ქართველი ბერები აქტიურად იყვნენ ჩართულნი ქრისტიანულ სამყაროში მიმდინარე კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესებში და, ამავე დროს, ინარჩუნებდნენ საეკლესიო და კულტურულ დამოუკიდებლობას. მათ მიერ უცხოეთში მიღებული ცოდნა, გამოცდილება, მთლიანად ემსახურებოდა ქართველთა განათლებასა და ინტელექტუალურ განვითარებას. ქართველ ბერ-მონაზონთა მწიგნობრულმა საქმიანობამ უცხოეთის სამონასტრო კერებში, რასაც მუდამ თან ახლდა ქართული პოლიტიკური ელიტის უდიდესი მხარდაჭერა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული საღვთისმეტყველო და ლიტერატურული აზროვნების განვითარებაში.

II შუა საუკუნეების ქართული ხელნაწერები, რომლებიც საქართველოს ფარგლებს გარეთ არის შექმნილი, დღეს, ძირითადად, იმ მონასტერთა ბიბლიოთეკებში ინახება, რომლებშიც ისინი იქმნებოდა. ხელნაწერთა ნაწილი კი საქართველოსა თუ მსოფლიოს სხვა ქვეყნების მუზეუმებსა და წიგნთსაცავებშია დაცული, სადაც ისინი სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა გზით მოხვდნენ. ხელნაწერთა ამგვარი „მოგზაურობა“ სხვადასხვა ფაქტორით იყო განპირობებული, რომელთაგან აღსანიშნავია XVIII-XIX საუკუნეებში გაცხოველებული ინტერესი ქრისტიანული სამყაროს სიძველეების მიმართ, რასაც, ზოგ შემთხვევაში, გარკვეული პოლიტიკური მიზნები ედო საფუძვლად. ევროპელი დიპლომატები, მოგზაურები, სიძველეთა მოყვარულები ხშირად სტუმრობდნენ ქრისტიანული აღმოსავლეთისა თუ ყოფილი ბიზანტიის იმპერიის სამონასტრო ცენტრებს, რასაც მოჰყვებოდა სიძველეთა, მათ შორის, ხელნაწერთა გატანა ძველი ეკლესია-მონასტრებიდან. ირკვევა, ასევე, რომ ამა თუ იმ მონასტერში გადაწერილი ხელნაწერები ზოგ შემთხვევაში იმთავითვე იყო განკუთვნილი სხვა წმინდა ადგილებისათვის – მონასტრებისათვის შესაწირად. ამ გზით ნაწილი უცხოეთში გადაწერილი ქართული ხელნაწერებისა გადაწერისთანავე აღმოჩნდა საქართველოში.

ტექსტის გაგრძელება →

III მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმსა თუ სამეცნიერო ცენტრში დაცული უცხოეთში გადაწერილი ქართული ხელნაწერების რაოდენობა დღეისათვის არცთუ მცირეა. მათი წარმომავლობის დადგენა შესაძლებელია იმ მინაწერების მიხედვით, რომლებშიც წარმოდგენილია ინფორმაცია მათი გადაწერის ადგილის შესახებ. არსებობს ასევე ხელნაწერები, რომელთა მინაწერებში, მართალია, არაფერია ნათქვამი მათი წარმომავლობის შესახებ, მაგრამ დასახელებულია ისეთი ისტორიული მოვლენა თუ პირი, რომელიც უშუალო კავშირშია ხელნაწერის შექმნის – გადაწერის, მოხატვისა თუ აკინძვის – ადგილთან.

IV უცხოეთში გადაწერილი ხელნაწერების ნაწილი – რამდენიმე ათონური ხელნაწერი – საქართველოში ჩამოტანილია ბიბლიოფილის, მღვდელ-მონაზონ ილია ფანცულაიას მიერ. იგი ათონზე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა XX საუკუნის დასაწყისში. 1920 წელს, როდესაც ფანცულაიამ ათონი დატოვა, მან თან წამოიღო ოთხი უძველესი ხელნაწერი. საინტერესო ისტორია აქვს კიდევ ერთ ათონურ ხელნაწერს, რომელიც ექვთიმე მთაწმინდელის თარგმანებს შეიცავს. მის გადასაწერად და საქართველოში ჩამოსატანად დავით III კუროპალატს სპეციალურად გაუგზავნია მწიგნობარი ათონზე. დღეს მესტიის მუზეუმში ინახება ე. წ. ლაჰილის სახარება, რომელიც უშუალოდ გადაწერისთანავე არის გამოგზავნილი იერუსალიმიდან საქართველოში, კერძოდ, სვანეთში.

ტექსტი A	*შეკითხვა 1*	*შეკითხვა 2*	*შეკითხვა 3*	*შეკითხვა 4*	*შეკითხვა 5*	*შეკითხვა 6*	*შეკითხვა 7*

1. **რა არის ავტორის მთავარი მიზანი?**

(ა) მოგვაწოდოს ინფორმაცია თანამედროვე ცენტრებისა და ბიბლიოთეკების შესახებ, რომლებშიც დაცულია უცხოეთში გადაწერილი ქართული ხელნაწერები.

(ბ) განსაზღვროს ქართველი მწიგნობრების უცხოეთში მოღვაწეობის ქრონოლოგიური ფარგლები.

(გ) წარმოაჩინოს უცხოეთში მოღვაწე ქართველ მწიგნობართა მიერ გადაწერილი ხელნაწერების „მოგზაურობის“ საკითხი.

(დ) წარმოაჩინოს ბიზანტიის სამონასტრო ცენტრებში შექმნილი ქართული კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობა.

(ე) გაგვაცნოს ქართველ ბერ-მონაზონთა საქმიანობა უცხოეთის სამონასტრო ცენტრებში.

ტექსტი A	*შეკითხვა 1*	*შეკითხვა 2*	*შეკითხვა 3*	*შეკითხვა 4*	*შეკითხვა 5*	*შეკითხვა 6*	*შეკითხვა 7*

2. რა იყო ის უმთავრესი შედეგი, რომელიც ქართველ ბერ-მონაზონთა უცხოეთში მოღვაწეობამ გამოიღო?

(ა) ქართული საღვთისმეტყველო და ლიტერატურული აზროვნების განვითარება

(ბ) ქართული მონასტრების დაარსება

(გ) რელიგიური დამოუკიდებლობის შენარჩუნება

(დ) ქართველთა პოლიტიკური წრეების გააქტიურება

(ე) ბიზანტიური მწიგნობრული ტრადიციის ათვისება

ტექსტი A	*შეკითხვა 1*	*შეკითხვა 2*	*შეკითხვა 3*	*შეკითხვა 4*	*შეკითხვა 5*	*შეკითხვა 6*	*შეკითხვა 7*

3. ცნობილია, რომ საქართველოს ფარგლებს გარეთ მოღვაწე ქართველ მწიგნობრებს უდიდეს დახმარებას უწევდნენ ქართული სამეფო კარის წარმომადგენლები. ტექსტის რომელ აბზაცებშია საუბარი ამ საკითხზე?

(ა) მხოლოდ I და II

(ბ) მხოლოდ II და IV

(გ) მხოლოდ II და III

(დ) მხოლოდ I და IV

(ე) მხოლოდ III და IV

ტექსტი A	*შეკითხვა 1*	*შეკითხვა 2*	*შეკითხვა 3*	*შეკითხვა 4*	*შეკითხვა 5*	*შეკითხვა 6*	*შეკითხვა 7*

4. ტექსტში ლაჰილის სახარების მაგალითი მოყვანილია იმის საჩვენებლად, რომ

(ა) იერუსალიმში ქართველ ბერებს შორის სვანეთიდან წასული ბერიც იყო.

(ბ) ხელნაწერი, ზოგ შემთხვევაში, სპეციალურად საქართველოში გამოსაგზავნად იქმნებოდა.

(გ) მესტიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში არაერთი ძვირფასი ხელნაწერი ინახება.

(დ) სვანეთსა და იერუსალიმს შორის შუა საუკუნეებში მჭიდრო კავშირი არსებობდა.

(ე) შუა საუკუნეების სვანეთში საკმაოდ განათლებული მკითხველები იყვნენ.

5. რა თანამიმდევრობით არის განხილული ტექსტში ქვემოთ წარმოდგენილი საკითხები:

A. უცხოეთში გადაწერილი ხელნაწერების საქართველოში ჩამოტანა

B. ქართველთა მწიგნობრული მოღვაწეობა უცხოეთში

C. უცხოეთში გადაწერილი ქართული ხელნაწერების წარმომავლობის დადგენის საკითხი

D. უძველესი სამონასტრო კერებიდან ხელნაწერების გატანა

(ა) A, B, D, C

(ბ) B, A, C, D

(გ) D, C, A, B

(დ) B, D, C, A

(ე) C, B, D, A

6. საქართველოს მუზეუმში დაცული ქართული ხელნაწერის შესახებ მოცემული რომელი ცნობა ამყარებს ყველაზე მეტად ვარაუდს, რომ ეს ხელნაწერი საქართველოში სინადან არის ჩამოტანილი?

(ა) ის შეიცავს თხზულებას, რომელიც X საუკუნეში, სინას მთაზე ქართველთა აქტიური მოღვაწეობის პერიოდშია შექმნილი.

(ბ) ის საქართველოში XIX საუკუნიდან, უცხოეთში გადაწერილი ხელნაწერების ინტენსიურად ჩამოტანის პერიოდიდან, ინახება.

(გ) ის გადაწერილია XI საუკუნეში, ქართველ ბერ-მონაზონთა უცხოეთში აქტიური მოღვაწეობის პერიოდში.

(დ) ის აკინძულია XVI საუკუნის სინელი მწიგნობრის მიერ.

(ე) ის მოხატულია XIV საუკუნეში უცხოეთში მოღვაწე ქართველი მწიგნობრის მიერ.

7. ტექსტის ბოლო აბზაცში

(ა) შეჯამებულია ტექსტში განხილული ძირითადი საკითხი.

(ბ) გავრცობილია პირველ აბზაცში მოყვანილი მსჯელობა.

(გ) წარმოდგენილია მაგალითები II აბზაცში აღწერილი მოვლენების საილუსტრაციოდ.

(დ) წარმოდგენილია მაგალითები III აბზაცში გამოთქმული აზრის დასასაბუთებლად.

(ე) წამოჭრილია ტექსტის ძირითად თემასთან დაკავშირებული ახალი საკითხი.

ტექსტი B

ენის წერილობითი ფორმა არის მეტყველების კოდირება, სამეტყველო ტექსტის გადატანა წერილობით ტექსტად. დამწერლობის წყალობით შეგვიძლია თვალი გავადევნოთ ენის განვითარებას, უფრო ზუსტად, ენის ცვლილებას დროში. ისტორიული გრამატიკა ენის დიაქრონიული ასპექტით (ბერძნ. dia - „გავლით“, chrónos - „დრო“) შესწავლის ერთ-ერთი დარგია, რომელიც იკვლევს ამა თუ იმ ენის გრამატიკული წყობის განვითარებას. ენა განფენილია სივრცეშიც, ენის მატარებლები გარკვეულ გეოგრაფიულ არეალში ცხოვრობენ. ენის გავრცელებას რაიმე ტერიტორიაზე თან სდევს ენის განსხვავებული ვარიანტების წარმოქმნა. ზოგ შემთხვევაში ენის შესწავლა ისტორიული გრამატიკის მეთოდების საშუალებით არ არის საკმარისი, რადგან ის მხოლოდ წერილობითი მასალის კვლევით იფარგლება. ენათა დიაქრონიული შესწავლის მეორე დარგს, რომელიც საშუალებას იძლევა აღვადგინოთ ტექსტებამდელი ან უმწერლობო ენების ისტორიული განვითარების ეტაპები, ისტორიულ-შედარებითი გრამატიკა ეწოდება. ის მონათესავე ენათა გრამატიკულ წყობაში იკვლევს ისტორიულად ერთგვარი მნიშვნელობის მქონე მოვლენებს. სხვადასხვა ენის სისტემათა შედარების საფუძველზე ენათმეცნიერები აგებენ ენის ძირითად სტრუქტურებს და თეორიულ წანამძღვრებს ქმნიან ისტორიულ-შედარებითი გრამატიკისათვის.

ენათა შედარების დროს განსხვავებულ ენობრივ სისტემებში შესაძლებელია აღმოჩნდეს მნიშვნელობითა და ფონეტიკური ჟღერადობით მსგავსი სიტყვები. ამ ფაქტის ასახსნელად ენათმეცნიერთა მიერ წამოყენებულია შემდეგი დებულებები:

- მსგავსება A და B ენებს შორის შესაძლებელია შემთხვევითი თანხვედრით იყოს გამოწვეული;
- მსგავსება შეიძლება აიხსნას ისტორიული კონტაქტებით, სიტყვების სესხებით ერთი ენიდან მეორეში (A→B), ან რამდენიმე ენაში (C→A, C→B). არ არსებობს ენა, რომელსაც არა აქვს ნასესხები ლექსიკა. ერთი ენა მეორე ენიდან, ძირითადად, სესხულობს კულტურის სფეროსათვის დამახასიათებელ სიტყვებს და არ ეხება ძირითად ლექსიკურ ფონდს.

ტექსტის გაგრძელება ->

ტექსტი B	*შეკითხვა 8*	*შეკითხვა 9*	*შეკითხვა 10*	*შეკითხვა 11*	*შეკითხვა 12*	*შეკითხვა 13*	*შეკითხვა 14*

- მსგავსება შეიძლება გულისხმობდეს ენებს შორის რეგულარულ ბგერით თანაფარდობებს, როდესაც A ენის განსაზღვრულ x ფონემას B ენის ფორმალურ-სემანტიკურად მსგავს ნიშანში შეესაბამება რაღაც y ფონემა, C ენის ასეთსავე ნიშანში კი – z ფონემა და ა. შ. შესატყვისობები სესხების დროსაც გვხვდება, მაგრამ რეგულარული კორესპონდენციები (შესატყვისობები) – არა. ასეთი ბგერითი თანაფარდობები ენებს შორის დასტურდება ძირითად ლექსიკურ ფონდში, როგორიცაა, მაგალითად, ადამიანის სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი სიტყვები, ძირეული ზმნები, ნაცვალსახელები, რიცხვითი სახელები და მისთ. ენებში ამ ტიპის მსგავსების ასახსნელად ენათმეცნიერები გამოთქვამენ ვარაუდს მათი საერთო წარმოშობის, რაღაც ერთი ამოსავალი ენობრივი სისტემიდან წარმომავლობის შესახებ, რომელსაც ფუძეენას უწოდებენ.

რთულია იმის დადგენა, თუ რა იწვევს, საზოგადოდ, ენის დროში ცვლილებას, რადგან ცვლილების გამომწვევ მიზეზთა მთელი კომპლექსი არსებობს: სოციალურ-კულტურული, ბიოლოგიური თუ გეოგრაფიული ფაქტორები, მოსახლეობის მიგრაციები და სხვ. სანამ ეს ცვლილებები უმნიშვნელოა, ურთიერთგაგებინება შენარჩუნებულია, სხვა შემთხვევაში კი წარმოიშობა განსხვავებული ენები. ასე მოხდა, მაგალითად, სასაუბრო ლათინურის დაშლის დროს, როდესაც ვრცელ არეალში გაჩნდა განსხვავებული, თუმცა ისტორიულად ერთმანეთთან დაკავშირებული ენების ჯგუფი – რომანული ენები. ხალხური ლათინური არის ერთადერთი რეალური, ისტორიულად დადასტურებული ფუძეენა, რომელიც ენათმეცნიერებს აძლევს საფუძველს სხვა ფუძეენების ჰიპოთეტური რეკონსტრუქციისათვის. სხვა ფუძეენები არ არის წერილობით დაფიქსირებული მათი განსაკუთრებული სიძველის გამო. ასეთია, მაგალითად, საერთო-ინდოევროპული ფუძეენა, რომლის არსებობაც ძვ. წ. IV ათასწლეულამდეა სავარაუდო. მართალია, დამწერლობა შეიქმნა ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლოს, მაგრამ იმ დროს ფიქსირებული ენები მხოლოდ გარკვეულ პერიოდში გარკვეულ არეალებში (ეგვიპტე, ჩინეთი, შუამდინარეთი) იყო გავრცელებული და, შესაბამისად, ფუძეენებად არ განიხილება ენათმეცნიერთა მიერ.

ენათმეცნიერები მიიჩნევენ, რომ ენათა გენეტიკური ჯგუფები საერთო ენიდან მომდინარე ენებია. ამ ჰიპოთეზის საშუალებით მეცნიერები ცდილობენ, ახსნან ენათა ჯგუფებში გამოვლენილი მსგავსებები, რომლებიც ვერ აიხსნება ვერც შემთხვევითი თანხვედრებით და ვერც სესხებით. მათი ვარაუდით, ფუძეენა ხანგრძლივი, მრავალსაუკუნოვანი ცვლილებისა და განვითარების პროცესში სხვადასხვაგვარად გარდაიქმნა და დამოუკიდებელ ენებად ჩამოყალიბდა, მაგრამ ნათესაური კავშირები ამ ენებს შორის შენარჩუნებულია.

ტექსტი B	შეკითხვა 8	შეკითხვა 9	შეკითხვა 10	შეკითხვა 11	შეკითხვა 12	შეკითხვა 13	შეკითხვა 14

8. ავტორის ძირითადი მიზანია

(ა) დაადგინოს ფაქტორები, რომლებიც დროში ენის ცვლილებებს განსაზღვრავს.

(ბ) განსაზღვროს ისტორიული გრამატიკის კვლევის სფერო.

(გ) მიმოიხილოს ენათა ნათესაობის კვლევის მეთოდები რომანულ ენათა მაგალითზე.

(დ) ენათა შორის მსგავსების მიმოხილვის ფონზე გამოკვეთოს ფუძეენის საკითხი ენათა ნათესაობის ასახსნელად.

(ე) წარმოაჩინოს ენის კვლევაში დიაქრონიული მეთოდის გამოყენების მნიშვნელობა.

9. გამოთქმულ მოსაზრებათაგან რომელი <u>არ არის</u> მართებული?

(ა) ენების შესწავლა წერილობითი მასალის გარეშე ისტორიულ-შედარებითი გრამატიკის ფარგლებშია შესაძლებელი.

(ბ) ისტორიულ-შედარებითი გრამატიკა სხვადასხვა ენის სისტემათა შედარების საფუძველზე ენათა ნათესაობის დადგენის საშუალებას იძლევა.

(გ) ისტორიული გრამატიკა დამწერლობის მქონე ენებს შეისწავლის.

(დ) ისტორიული გრამატიკა მონათესავე ენათა შედარების საფუძველზე ფუძეენის რეკონსტრუქციის საშუალებას იძლევა.

(ე) ისტორიული და ისტორიულ-შედარებითი გრამატიკა ენათა დიაქრონიული ასპექტით შესწავლის დარგებია.

10. ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს ტექსტიდან?

(ა) მსგავსება ენებს შორის მხოლოდ სიტყვებისა და ბგერითი თანაფარდობების შემთხვევითი თანხვედრით არის გამოწვეული.

(ბ) რეგულარული ბგერითი თანაფარდობები გვხვდება როგორც სიტყვების სესხების, ისე ენათა ნათესაობის დროს.

(გ) ენებში, რომლებსაც ნაკლები ისტორიული კონტაქტები აქვთ სხვა ენებთან, ნასესხები ლექსიკა საერთოდ არ დასტურდება.

(დ) ენათმეცნიერები ვერ ხსნიან განსხვავებულ ენობრივ სისტემებში მნიშვნელობითა თუ ფონეტიკური ჟღერადობით მსგავსი სიტყვების არსებობას.

(ე) სხვადასხვა ენის სიტყვებს შორის მსგავსება, ზოგ შემთხვევაში, მათი ერთი ენიდან მეორეში, ან რამდენიმე სხვადასხვა ენაში სესხებით შეიძლება აიხსნას.

11. ჩამოთვლილთაგან რომელი პირობების შესრულების შემთხვევაში მიიჩნევენ ენათმეცნიერები ენებს მონათესავედ?

I. მსგავსება უნდა ეხებოდეს სიტყვებს კულტურის სფეროდან.

II. დადასტურებული უნდა იყოს სიტყვებს შორის რეგულარული ბგერითი თანაფარდობები.

III. დადასტურებული უნდა იყოს ენებს შორის ინტენსიური ისტორიული კონტაქტები.

IV. მსგავსება უნდა ეხებოდეს სიტყვებს ძირითადი ლექსიკური ფონდიდან.

(ა) I და II

(ბ) I და III

(გ) II და IV

(დ) II და III

(ე) III და IV

12. სხვადასხვა ენობრივ სისტემაში დასტურდება მნიშვნელობითა და ჟღერადობით მსგავსი სიტყვები, მაგალითად, ქართულში - სტუდენტი, რუსულში - студент, ინგლისურში - student; ქართულში - ალამი, არაბულში - alam, სპარსულში - alam.

მოყვანილი მაგალითები აიხსნება:

(ა) შემთხვევითი თანხვედრით

(ბ) კულტურის სფეროსთვის დამახასიათებელი სიტყვების სესხებით

(გ) რეგულარული ბგერითი თანაფარდობებით

(დ) ენათა ნათესაობით

(ე) სიტყვების სესხებით ძირითადი ლექსიკური ფონდიდან

13. ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს ტექსტიდან?

(ა) სასაუბრო ლათინური ენა ერთადერთი უძველესი ენაა, რომელმაც დამწერლობის წყალობით მოაღწია ჩვენამდე.

(ბ) სასაუბრო ლათინური ენა, ისევე, როგორც ძველ ეგვიპტეში, ჩინეთსა და შუამდინარეთში არსებული ენები, უძველეს ფუძეენას წარმოადგენს.

(გ) სასაუბრო ლათინურის, როგორც უძველესი ფუძეენის რეკონსტრუქცია მხოლოდ ჰიპოთეტურადაა შესაძლებელი.

(დ) სასაუბრო ლათინური ენის დიაქრონიული ცვლილებისა და გარდაქმნის შედეგად რამდენიმე ენა ჩამოყალიბდა.

(ე) ლათინური ენის განვითარებისა და გარდაქმნის ძირითად მიზეზად ევროპული ტომების მიგრაცია არის მიჩნეული.

14. ჩამოთვლილთაგან რომელი განმარტებაა წარმოდგენილი <u>არასწორად</u>?

(ა) ენის დიაქრონიული შესწავლა ნიშნავს ენობრივ მოვლენათა განვითარების ისტორიული თანამიმდევრობის კვლევას.

(ბ) ფუძეენა არის იმ ენათა საერთო წინაპარი, რომლებიც ენათა გენეტიკურ ჯგუფებს ქმნიან.

(გ) რომანული ენები არის საერთო ფუძეენის, სასაუბრო ლათინურის, დიფერენციაციის შედეგად ჩამოყალიბებული განსხვავებული ენები.

(დ) ფუძეენის ჰიპოთეტური რეკონსტრუქცია ნიშნავს ისეთი ენობრივი სისტემის აღდგენას, რომლის რეალურად არსებობა არ არის დადასტურებული.

(ე) რეგულარული კორესპონდენციები ეწოდება სხვადასხვა ენობრივ სისტემაში გამოვლენილ ყველანაირი სახის მსგავსებას.

ტექსტი B	*შეკითხვა 8*	*შეკითხვა 9*	*შეკითხვა 10*	*შეკითხვა 11*	*შეკითხვა 12*	*შეკითხვა 13*	*შეკითხვა 14*

გადასვლა C ტექსტზე →

ტექსტი C

ფსიქოლოგ **ჰოლენდერის** განსაზღვრებით, პერფექციონიზმი (ლათინური სიტყვიდან *perfectus* - „აბსოლუტური სრულყოფილება“) არის პიროვნული მახასიათებელი, რომელიც გულისხმობს საკუთარი თავისადმი უფრო მაღალი მოთხოვნების წაყენებას, ვიდრე ამას გარემოება მოითხოვს. პერფექციონისტი მიისწრაფვის ძნელად შესასრულებელი ან არარეალური მიზნებისაკენ, თვითკრიტიკულია, და როცა მიზანს ვერ აღწევს, უჩნდება დაბალი თვითშეფასების განცდა. სხვა სიტყვებით, პერფექციონისტის ცხოვრება რეალურად მიუღწეველი იდეალისაკენ სწრაფვაა.

ბერნსის მიხედვით, პერფექციონიზმი არის პიროვნული სტრატეგია, რომელიც გულისხმობს: „ყველაფერი ან არაფერი!“ ინდივიდს აქვს მხოლოდ ორი ალტერნატივა: ან მაღალი სტანდარტების შესატყვისობა, ან სრული კრახი. მნიშვნელოვანი, წარმატებული ადამიანის იმიჯის შესანარჩუნებლად პერფექციონისტი ცდილობს, დამალოს დაშვებული შეცდომები, ან უარი თქვას მისთვის ძნელად განსახორციელებელ ჩანაფიქრზე, რათა თავიდან აიცილოს წარუმატებლობა. პერფექციონისტის პრობლემა ისაა, რომ ის დიდი წარმატებებისათვის ემზადება და იდეალურ მომენტს ელოდება, მაგრამ ეს მომენტი შეიძლება არასოდეს დადგეს. მისი უამრავი დრო და ენერგია მიაქვს მეორეხარისხოვან დეტალებზე მუშაობას. პერფექციონიზმის არსი კარგად არის ასახული გამოთქმაში: „საუკეთესო კარგის მტერია“.

პერფექციონიზმი თანდაყოლილი პიროვნული მახასიათებელია, თუმცა მისი ფორმირება, გარკვეულწილად, ბავშვობაში, აღზრდის თავისებურებების გავლენითაც ხდება. მაგალითად, პერფექციონიზმს აყალიბებს მშობლების „პირობადებული სიყვარული“, როცა ბავშვი მხოლოდ იმ შემთხვევაში იმსახურებს შექებას, წახალისებას, თუ მშობლების მოსაწონად იქცევა. როგორც წესი, პერფექციონისტის მშობლები მკაცრი, კრიტიკული, მომთხოვნი ადამიანები არიან და ნაკლებად ავლენენ მხარდაჭერას შვილების მიმართ. მშობლების მოლოდინი და სტანდარტები ხშირად არ შეესაბამება ბავშვის შესაძლებლობებსა და მოთხოვნილებებს. ბავშვი იძულებულია, არასოდეს დაუშვას შეცდომა, რომ გაამართლოს მშობლების მოლოდინი და თავიდან აიცილოს კრიტიკა.

ჰიუტმა და **ფლეტმა** პერფექციონიზმი აღწერეს, როგორც სამგანზომილებიანი კონსტრუქტი – **თვითორიენტირებული, სხვებზე ორიენტირებული** და **სოციალურად მიწერილი** და პერფექციონიზმის გასაზომი სკალაც შეიმუშავეს.

ტექსტის გაგრძელება ->

ტექსტი C	*შეკითხვა 15*	*შეკითხვა 16*	*შეკითხვა 17*	*შეკითხვა 18*	*შეკითხვა 19*	*შეკითხვა 20*	*შეკითხვა 21*

თვითორიენტირებული პერფექციონიზმი გულისხმობს საკუთარი თავის მიმართ წაყენებულ ირაციონალურ მოლოდინებსა და სტანდარტებს. ასეთ ადამიანს ახასიათებს დაბალი თვითპატივისცემა და შეიძლება ჰქონდეს ისეთი ფსიქიკური პრობლემები, როგორიცაა: შფოთვა, დეპრესია, მნიშვნელოვანი განსვლა რეალურ და იდეალურ მე-ს შორის. **სხვებზე ორიენტირებული პერფექციონიზმი** გულისხმობს სხვა ადამიანის მიმართ წაყენებულ მაღალ სტანდარტებს. ასეთი ადამიანი გარშემომყოფებისაგან მოელის სრულყოფილებას, მუდმივად აფასებს მათ და ორიენტირებულია სხვების დადანაშაულებასა და კრიტიკაზე. ეს ქმნის დაძაბულობას, პრობლემებს ინტერპერსონალურ ურთიერთობებში. **სოციალურად მიწერილი პერფექციონიზმის** მქონე ადამიანი მოქმედებს იმ სტანდარტებისა და მოლოდინების შესაბამისად, რომლებსაც, მისი აზრით, მას უყენებენ მისთვის მნიშვნელოვანი ადამიანები. ის ფიქრობს, რომ სხვები მისგან მოელიან სრულყოფილებას, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გარშემომყოფების შეფასებებს და ეშინია სხვების მხრიდან უარყოფის. ამ ტიპის პერფექციონიზმის მაღალი ხარისხი შეიძლება გახდეს ისეთი ფსიქოლოგიური პრობლემების მიზეზი, როგორიცაა: დეპრესია, სუიციდი, სოციალური შფოთვა, კვებითი აშლილობები.

ფსიქოლოგთა ნაწილი წინა პლანზე აყენებს პერფექციონიზმის დადებით ასპექტებს და მიუთითებს, რომ პერფექციონისტები გამოირჩევიან მაღალი მოტივაციით, დაბრკოლებების გადასალახად საჭირო ბრძოლის უნარით. მაგალითად მოჰყავთ მეცნიერების, სპორტის, ხელოვნების მსოფლიოში ცნობილი წარმომადგენლები, რომლებმაც დიდ წარმატებებს მიაღწიეს. **როედელის** მიხედვით, პერფექციონიზმი ადამიანს ანიჭებს მიზნის მიღწევის ძლიერ ენერგიასა და მოტივაციას.

ჰამაჩეკმა პერფექციონიზმის ორი სახე გამოჰყო – ჯანსაღი (კონსტრუქციული) და ნევროტული (დესტრუქციული). **ჯანსაღი პერფექციონიზმის** მქონე ადამიანი შრომისმოყვარეა და ლიდერის თვისებები ახასიათებს. ის მოტივირებულია, აქვს მაღალი, მაგრამ რეალისტური სტანდარტები, დიადი მიზნები და მათი მიღწევის კონკრეტული გზები, პოზიტიური, ადეკვატური თვითშეფასება და პრეტენზიის მაღალი დონე. ის მუშაობის პროცესში აზარტულია, გარკვეულწილად შფოთავს კიდეც, მაგრამ თავისი საქმიანობიდან და აქტივობებიდან სიამოვნებას იღებს. **ნევროტული პერფექციონიზმის** შემთხვევაში სრულყოფილება იდეა-ფიქსი ხდება და ადამიანს წარუმატებლობის ძლიერი შიში იპყრობს; სიყვარულისა და საყოველთაო პატივისცემის დამსახურების სურვილის გამო ირჩევს ისეთ მიზანს, რომელიც მის შესაძლებლობებს აღემატება, ეს კი მასში მუდმივ დაძაბულობას იწვევს. არარეალური მიზნებისაკენ სწრაფვა ხდება საკუთარი თავით უკმაყოფილების, შინაგანი დისჰარმონიისა და სტრესის მიზეზი.

15. ავტორის მთავარი მიზანია, წარმოაჩინოს:

(ა) პერფექციონიზმის ფენომენის მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებაში.

(ბ) პერფექციონიზმის ფენომენის პოზიტიური მხარე.

(გ) პერფექციონიზმის ფენომენის შესახებ არსებული მეცნიერული მოსაზრებები.

(დ) პერფექციონიზმთან დაკავშირებული ტერმინების მნიშვნელობა.

(ე) პერფექციონიზმის როლი ფსიქიკური პრობლემების წარმოქმნაში.

16. ტექსტიდან გამომდინარე, პერფექციონიზმის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებათაგან რომელია მართებული?

(ა) პერფექციონიზმი არის თანდაყოლილი პიროვნული მახასიათებელი, რომელიც სხვა ფაქტორთა გავლენას არ ექვემდებარება.

(ბ) პერფექციონიზმი არის წაგებაზე ორიენტირებული პიროვნული სტრატეგია.

(გ) პერფექციონიზმი ძირითადად გულისხმობს საკუთარი თავისათვის მაღალი სტანდარტების დაწესებას.

(დ) ლათინური სიტყვა perfectus აღნიშნავს დაგეგმილი მიზნების სრულყოფილად შესრულებას.

(ე) ფსიქოლოგები თავდაპირველად პერფექციონიზმს პოზიტიურ ფენომენად მიიჩნევდნენ, მოგვიანებით კი მის ნეგატიურ ასპექტზე გაამახვილეს ყურადღება.

17. მეცნიერთა შესახებ გამოთქმულ მოსაზრებათაგან <u>მცდარია</u>:

(ა) ჰოლენდერისა და ჰამაჩეკის მიხედვით, პერფექციონიზმს ორი შედეგი შეიძლება ჰქონდეს: მიზნის მიღწევა ან მარცხი.

(ბ) ჰამაჩეკის ნევროტული პერფექციონიზმი, ძირითადად, იმეორებს სოციალურად მიწერილი პერფექციონიზმის არსს.

(გ) ჰოლენდერისა და ბერნსის მიხედვით, პერფექციონიზმი ნეგატიურად მოქმედებს ადამიანის ცხოვრებაზე.

(დ) პერფექციონიზმის კონსტრუქციულ მხარეზე საუბარია როედელისა და ჰამაჩეკის მოდელებში.

(ე) ჰიუტისა და ფლეტის მიხედვით, თვითორიენტირებული და სოციალურად მიწერილი პერფექციონიზმი გულისხმობს მკაცრი სტანდარტების წაყენებას საკუთარი თავის მიმართ.

ტექსტი C	*შეკითხვა 15*	*შეკითხვა 16*	*შეკითხვა 17*	*შეკითხვა 18*	*შეკითხვა 19*	*შეკითხვა 20*	*შეკითხვა 21*

18. ჩამოთვლილ მოსაზრებათაგან რომელი გამომდინარეობს ტექსტიდან?

(ა) ჰიუტისა და ფლეტის მიერ განსაზღვრული პერფექციონიზმის ყველა ფორმა მსგავს ფსიქიკურ პრობლემებს იწვევს.

(ბ) გამოთქმა „საუკეთესო კარგის მტერია“ გულისხმობს, რომ საუკეთესოსაკენ გამუდმებული სწრაფვა ყოველთვის კარგ შედეგს არ იძლევა.

(გ) ნებისმიერი ფორმის პერფექციონიზმის მქონე ადამიანებს ახასიათებთ სოციალური შფოთვა და საკუთარი თავით უკმაყოფილება.

(დ) საყოველთაო აღიარების მოტივაცია და სრულყოფილების იდეა-ფიქსი ადამიანს ეხმარება შინაგანი ჰარმონიის მიღწევაში.

(ე) შრომისმოყვარე და ლიდერის თვისებების მქონე ადამიანები ჯანსაღი პერფექციონისტები არიან.

ტექსტი C	*შეკითხვა 15*	*შეკითხვა 16*	*შეკითხვა 17*	*შეკითხვა 18*	*შეკითხვა 19*	*შეკითხვა 20*	*შეკითხვა 21*

19. პერფექციონისტის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებათაგან მართებულია:

(ა) კონსტრუქციული პერფექციონისტის ცხოვრება იმ იდეალისაკენ სწრაფვაა, რომელიც მიუწვდომელია.

(ბ) მშობლები ითვალისწინებენ პერფექციონისტი შვილების შესაძლებლობებსა და მისწრაფებებს და ამით მხარს უჭერენ მათ წარმატების მიღწევაში.

(გ) პერფექციონისტი არასოდეს ისახავს მიუწვდომელ მიზნებს, რადგან სურს წარუმატებლობის თავიდან აცილება.

(დ) პერფექციონისტის თვისებებს ნაწილობრივ ბავშვობაში მიღებული გამოცდილება აყალიბებს, როდესაც ბავშვი იძულებულია მშობლების მოლოდინი გაამართლოს.

(ე) პერფექციონიზმის ნებისმიერი ფორმა ადამიანს ანიჭებს მიზნის მიღწევის ძლიერ ენერგიასა და მოტივაციას.

ტექსტი C	*შეკითხვა 15*	*შეკითხვა 16*	*შეკითხვა 17*	*შეკითხვა 18*	*შეკითხვა 19*	*შეკითხვა 20*	*შეკითხვა 21*

20. ტექსტის მიხედვით, მოცემული დასკვნებიდან რომელია სწორი?

(ა) პერფექციონიზმი, როგორც წესი, დეპრესიისა და სხვა ფსიქიკური პრობლემების წინაპირობაა.

(ბ) ჯანსაღი პერფექციონიზმის მქონე ადამიანს არ ახასიათებს მნიშვნელოვანი განსვლა რეალურ და იდეალურ მე-ს შორის.

(გ) მკაცრი მშობლების შვილებს უყალიბდებათ აზრი, რომ მხოლოდ წარმატების შემთხვევაში იქნებიან მშობლებისათვის ღირებულნი.

(დ) ადამიანის პერფექციონიზმის ხარისხისა და ფორმის დადგენა შეუძლებელია.

(ე) ფსიქოლოგები თანხმდებიან, რომ პერფექციონიზმი შეიძლება გამოვლინდეს ერთდროულად როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ფორმით.

21. ბოლო აბზაცში:

(ა) წარმოდგენილია დასკვნა ტექსტში განხილული საკითხის შესახებ.

(ბ) შეჯამებულია მეცნიერული კამათი ძირითადი საკითხის შესახებ.

(გ) მოცემულია კიდევ ერთი მეცნიერული მოსაზრება ძირითადი საკითხის შესახებ.

(დ) მოცემულია ტექსტში განხილული მოსაზრების საპირისპირო პოზიცია.

(ე) კრიტიკულად არის შეფასებული ტექსტში წარმოდგენილი თეორიები.

ტექსტი C	*შეკითხვა 15*	*შეკითხვა 16*	*შეკითხვა 17*	*შეკითხვა 18*	*შეკითხვა 19*	*შეკითხვა 20*	*შეკითხვა 21*

ტესტის დასასრული

ტექსტი A

ტექსტი B

ტექსტი C